აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №5

2024 წლის 28 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის №12 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის ქონების განკარგვისა და საწარმოთა მართვის სააგენტოს დაფუძნების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 26 თებერვლის №12 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი, 01/03/2021; სარეგისტრაციო კოდი: 040030000.32.061.016335) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

,,3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,კ“, „ლ“, „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“ და ,,რ“ ქვეპუნქტების მოქმედება არ ვრცელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ სამედიცინო პროფილის საწარმოებზე.“.

2. დებულების მე-5 მუხლის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) ქონების მართვისა და განკარგვის დეპარტამენტი.“.

3. დებულების მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. დებულების მე-7 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 7. ქონების მართვისა და განკარგვის დეპარტამენტი“.

5. დებულების მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ი“ და ,,კ“ ქვეპუნქტები:

„ი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილების განხორციელება;

კ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.“.

6. დებულების მე-8 მუხლი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 14 მაისიდან.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის **რუსლან აბაშიძე**
თავმჯდომარე